

იდეა-კონცეფცია - „ბორჯომი – სამუზეუმო ქალაქი“

ბორჯომის ხეობას განვითარების გამორჩეული პერსპექტივა გააჩნია. ხეობის ბუნებრივი სიმდიდრე – მინერალური წყალი (ბორჯომი, მიტარბი, ლიკანი), იშვიათი კლიმატო-ბალნეოლოგიური მონაცემი, ხე-ტყე, მრავალსაუკუნოვანი საკულტო და საერო არქიტექტურა მისი მსოფლიო სპა კურორტად ჩამოყალიბების მყარი საფუძველია. ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, რუსეთის საიმპერატორო ოჯახის დაკვეთით შექმნილი, საუკეთესო მეცნიერების ფუნდამენტური კვლევები, ადასტურებდა ბორჯომის ვიშის, სპას, კარლსბადისა თუ მსოფლიოს სხვა, წამყვანი ბალნეოლოგიური კურორტების მსგავს, კურორტად ქცევის შესაძლებლობას. ამ ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

ამასთანავე ბორჯომის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა ქვეყანაში სამუზეუმო ქალაქის შექმნის უპრეცედენტო შესაძლებლობაა.¹⁷³ მოკლე აღწერითა და სამომავლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით წარმოგიდგენთ მათ ფასეულობასა და მნიშვნელობას, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ისე ქვეყნის სამომავლო ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული სამუზეუმო ქალაქის კონცეფცია, XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბორჯომის, ხუთ მნიშვნელოვან ისტორიულ შენობაში, შემდეგი სამუზეუმო-საექსპოზიციო სივრცის განთავსებას გულისხმობს:

- რომანოვების ყოფილი კანცელარიის შენობა – ბორჯომის მხარის ისტორიის მუზეუმი;
- კავალერიის ფლიგელი რემერტის სახელობის ისტორიულ პარკში - საიმპერატორო კოლექციის მუზეუმი;
- ლიკანის სამუზეუმო კომპლექსი – სასახლე-მუზეუმი და მრავალფუნქციური კომპლექსი;
- ბორჯომის მინერალური წყლის ქარხანა – ბორჯომის მინერალური წყლის ისტორიის მუზეუმი;
- მოლდენჰაუერის ჰიდროელექტროსადგური – ინდუსტრიული მემკვიდრეობის მუზეუმი.

173. დღეს აქ მხოლოდ ერთი - ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (რომანოვების ყოფილი კანცელარიის შენობა, არქ. ვლ. შვეიერი, 1890 წ.) ფუნქციონირებს.

I. ბორჯომის მხარის ისტორიის მუზეუმი

(ბორჯომის მსარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა)

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი მუზეუმია. შენობა გერმანელი არქიტექტორის, ვ. შვეიერის პროექტით 1890 წელსაა აგებული. აქ განთავსებული იყო საიმპერატორო ოჯახის კუთვნილი, ბორჯომის მამულის კანცელარია.

მუზეუმის მიმართულებებია: სამეცნიერო (მხარის არქიტექტურული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, საარქივო მასალის კვლევა და დაცვა), **საგანმანათლებლო-შემეცნებითი** (პროგრამები სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებისათვის), **ვიზიტორთა მომსახურება**.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციას კონცეპტუალურად მხარის ისტორიის, ბუნების, ყოფისა და თავისებურებების ინტერპრეტაციასა და ექსპონირებას დაეთმობა.

მუზეუმი მდიდარია განსხვავებული ხასიათის კოლექციებით (არქეოლოგია, ეთნოგრაფია, საბუნებისმეტყველო, მინერალოგია, სატყეო, გამოყენებითი, სახვითი, ნუმისმატიკა, გრაფიკა, ფერწერა, სკულპტურა, რომანოვების ბიბლიოთეკა, დოკუმენტური და ფოტო მასალა). ექსპონატების საერთო რაოდენობა 33 219 ერთეულია.

თემატურად გამოსაფენი კოლექციები:

1. არქეოლოგია – 2090 ერთეული;
2. ნუმისმატიკის კოლექცია – 1 988 ერთეული (გამოიფინება 150 ერთეული);
3. საბუნებისმეტყველო – 2130 ერთეული (ფიტული - 36, ჰერბარიუმი - 35, პეპლების ჰერბარიუმი - 2, გრაფიკა);
4. ეთნოგრაფიული კოლექცია (544 ერთეული);
5. ბორჯომის მინერალური წყლის ისტორიის ამსახველი მასალა.

საექსპოზიციო ზონირება - ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის რეაბილიტაციის შემდგომ, მუზეუმის ექსპოზიციას წარმოდგენილი იქნება შემდეგი კოლექციებით:

- I სართული – „**მხარის ბუნება**“ - საბუნებისმეტყველო კოლექცია;
- II სართული – „**საწყისები**“ - არქეოლოგიური კოლექცია;
- III სართული – „**ბორჯომი**“ – ბორჯომის მინერალური წყლის წარმოების ისტორია (ძირითადი დარბაზი);
- III სართული – „**კომერციული და საერთაშორისო ურთიერთობები**“ (ნუმისმატიკური კოლექცია) (კოშკის წითელი სივრცე);
- IV სართული – „**ეთნოკულტურა**“ - ეთნოგრაფიული კოლექცია

1. გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი

(საიმპერატორო კოლექცია და რომანოვების ბიბლიოთეკა)
 („ახალი კავალერიის კორპუსის“ შენობა)

„ახალი კავალერიის კორპუსის“ ეკლექტური რუსული რომანტიზმით გაჯერებული შენობა აგებულია დაახლოებით 1880 წლისათვის, შენობის არქიტექტორია ალბერტ ზალცმანი. მდებარეობს ქ. ბორჯომის ცენტრში, ხალხმრავალ ადგილას (განსაკუთრებით საკურორტო სეზონის დროს), ადოლფ რემერტის სახელობის ისტორიულ პარკში. 1880 წელს გახსნილი ეს პარკი შესანიშნავი ადგილმდებარეობის, იშვიათი მცენარეული საფარის (წაბლის, ჩინარის, მუხის, ცაცხვის, ალვისა და არყის ხეები, ჟასმინები, ველური ყურძენი), მტკვრის სანაპიროსთან სიახლოვის გამო, XIX-XX საუკუნეებში, დიდი პოპულარობით სარგებლობდა. პარკი პეტერბურგისა და მოსკოვის პარკების მსგავსად იყო დაგეგმარებული, აქ ხშირად იმართებოდა კონცერტები და წარმოდგენები.

ეს შენობაც და რემერტის პარკიც მიხეილ რომანოვის საზაფხულო რეზიდენციის შემადგენლობაში იყო. შენობის ორ ფლიგელს ლიკანის სასახლის მსგავსად ერთმანეთთან ხის გალერეა-ტალავერი აკავშირებდა. შემორჩენილია ამ შენობის რამდენიმე ფოტო და ფასადის ერთი აკვარელში შესრულებული ესკიზი. სადღეისოდ შენობის მხოლოდ ერთი ნაწილია შემორჩენილი. ცხადია, სახეცვლილია პარკიც.

კონცეფციის თანახმად, „ახალი კავალერიის კორპუსის“ შენობაში განთავსდება - **გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი (საიმპერატორო კოლექცია და რომანოვების ბიბლიოთეკა).**

„ახალი კავალერიის კორპუსის“ სამუზეუმო სივრცედ ადაპტირების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს კოლექციების შენახვა-დაცვის და ექსპონირების ხერხების, განათების, მუზეუმის დაცვისა და უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტები. შენობის ინტერიერის დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს უახლეს თანამედროვე ტენდენციებს, შენობის თანამედროვე ეპოქისა (XIX-XX სს.) და კოლექციების სპეციფიკას.

მუზეუმის მიმართულუბადად განისაზღვრა:

კულტურული (კულტურული ღონისძიებები - მემუარული და ლიტერატურული საღამოები, შესაბამისი პროფილის ლექციები და კონფერენციები, კლასიკური მუსიკის კონცერტები, ფილმების რეტროსპექტივა);

სამეცნიერო (მხარის არქიტექტურული ძეგლების შესწავლა/დაცვა, ლექციები და სამეცნიერო კონფერენციების გამართვა);

საგანმანათლებლო-შემეცნებითი (საექსკურსიო პროგრამები სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებისათვის).

ვიზიტორთა მომსახურება (მუზეუმის მიზანია მაქსიმალურად გაზარდოს ვიზიტორთა რაოდენობა ქალაქ ბორჯომსა და ბორჯომის რაიონში და შესაბამისი სერვისების შეთავაზებით მათთვის ხელმისაწვდომი გახადოს

არა მხოლოდ ამ სამუზეუმო სივრცეში დაცული კოლექციები, არამედ ვიზიტორებს ინფორმაცია მიაწოდოს და პოპულარიზაცია გაუწიოს ბორჯომის ღირსშესანიშნაობებსა და მხარის კულტურულ მემკვიდრეობას).

აქცენტი გაკეთდა „კავალერიის კორპუსის“ შენობაში (პოლში) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობაზე, ცენტრისა რომელიც ადგილობრივსა თუ უცხოელ ტურისტს მიაწოდებს ინფორმაციას, როგორც საკუთრივ ბორჯომში არსებული ღირსშესანიშნაობების (მუზეუმები, პარკები, ატრაქციები, მინერალური წყლები, სამკურნალო-ბალნეოლოგიური ცენტრები, სასტუმროები, კაფე-რესტორნები, ბიბლიოთეკები, სუვენირები, მიმდინარე კულტურული ღონისძიებები) შესახებ, ისე ზოგადად მხარის კურორტების (ლიკანი, ბაკურიანი, მითარბი, წალვერი, ცეში და სხვ.), კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ტურისტული ინფრასტრუქტურის შესახებ არსებულ აუცილებელ და საჭირო ცნობებს.

შენობის ფუნქციური ზონირება:

საერთო ფართობი – 782 კვ. მ. (სარდაფის გარეშე)
სართულების დამაკავშირებელი კიბეები (წრიული) მოეწყობა კოშკში და იგი შენობის ინტერიერის ერთ-ერთი საინტერესო არქიტექტურული ელემენტი გახდება.

I სართული (314 კვ.მ.) – საზოგადოებრივი ზონა

1. მუზეუმის ვიზიტორთა მისაღები

- გარდერობი;
- სალარო;
- საინფორმაციო ცენტრი;
- წიგნების, სუვენირებისა და ძვირფასი ნაკეთობების მაღაზია;
- კაფე;
- მუზეუმის ადმინისტრაცია;
- საპოლიციო დაცვის ოთახი;
- სველი წერტილები;
- სამეურნეო-ტექნიკური ინვენტარის სათავსო და შესაბამისი სველი წერტილი.

2. საექსპოზიციო სივრცე დროებითი გამოფენებისათვის

- დროებით გამოფენებს შორის სივრცე დაეთმობა საარქივო ფოტო და გრაფიკული მასალის ექსპონირებას თემაზე – „რომანოვები ბორჯომში“, კურორტი „ბორჯომი“; კონცეპტუალურად ეს იქნება ერთგვარი „შესავალი“ II და III სართულებზე გაშლილი ექსპოზიციებისთვის;
- სივრცე სამუზეუმო ფილმის რეტროსპექტივისთვის (ეკრანი);

II სართული (288 კვ.მ.)

II.1. საექსპოზიციო დარბაზი (მუდმივი გამოფენა) – 198 კვ. მ. - რომანოვების საიმპერატორო კოლექციის ექსპოზიცია (200-მდე ექსპონატი) ანუ გამოყენებითი ხელოვნების კოლექცია (შანდლები, საათები, ზარდასშები, ფაიფურის ჭურჭელი: ლარნაკები, მცირე ქანდაკება, თეფშები და ა.შ.) ექსპონირებული იქნება კომპლექსურ და ინდივიდუალურ მინის თანამედროვე ვიტრინებში, განათებაზე აქცენტით.

II.2 ფონდსაცავი;

II.3. ადმინისტრაცია (გიდები, ექსპოზიციის მეთვალყურე, ფონდის მცველი/კურატორი);

II.4 სამუშაო ოთახი - დამხმარე სამეცნიერო მასალის ფონდი (ინვენტარიზირებული მასალა, კატალოგები, ნახაზები, გეგმები, ესკიზები, ფოტოები, კომპიუტერული მედია), ბიბლიოთეკა.

III სართული (180 კვ. მ.) - მანსარდი - ერთიანი საექსპოზიციო სივრცე, სადაც XIX-XX საუკუნეთა გარემოს რეკონსტრუქციის პირობებში ექსპონირებული იქნება რომანოვების ბიბლიოთეკა, გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები, იმდროინდელი ავეჯი და აქსესუარები.

რეკონსტრუქციები:

- პროექტში გასათვალისწინებელია ექსტერიერის ხის დეკორის აღდგენის საკითხი;
- | სართული – ჩამონგრეულ ნაწილში შესაძლებელია თანამედროვე მინაშენის გაკეთება კაფე-ს ფუნქციით; პროექტირებისას უნდა ჩაიღოს ახალი მინაშენის (თანამედროვე მასალით) მიმატების შესაძლებლობა უკანა მხრიდან (ბეტონის კედლამდე დაახლ. 17 მ). მინაშენში კაფეს განთავსების შემთხვევაში, მასსა და ბეტონის კედელს შორის მიწის ჩამოჭრით გაფართოვდება მინაშენის წინ არსებული სივრცე და გაჩნდება ადგილი ღია ტერასისთვის ან ზამთრის ბაღისთვის; კაფე - ღია ტერასა - ზამთრის ბაღი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას საკონფერენციო და სხვადასხვა ღონისძიებათა გამართვის სივრცედ გათვლილი სავარაუდოდ 50 ადამიანზე (გასათვალისწინებელია, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ასეთი მრავალფუნქციური და აუცილებელი სივრცე არ გვაქვს);
- | სართულზე შესაძლებელია ვიზიტორთა მისაღები ფოიეს ერთიანი სივრცის შექმნა, სადაც განთავსდება სალარო, საინფორმაციო კუთხე, სუვენირებისთვის დეკორატიული დახლო-ვიტრინა, ლიტერატურული კაფეს ტიპის კაფე, სასუვენირო სივრცე, წიგნების მაღაზია;

- შენობის საექსპოზიციო სივრცეებსა და ფონდსაცავში დაცული უნდა იყოს ფარდობითი ტენიანობის 50-55% და ტემპერატურის 18 °C-იანი ბალანსი;
- განათების სისტემა (საუკეთესო ტექნიკური, ვიზუალური თვალსაზრისით): საექსპოზიციო სივრცეებში სასურველია ბუნებრივი განათების წყაროების ბლოკირება (III სართულის გარდა) და თბილი განათების სისტემის გამოყენება. II სართულის საექსპოზიციო მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე – ფაიფური, ფაიანსი, მინა, კერამიკა – 50 ლუქსიანი, თბილი განათება სივრცის სრული დაბნელებით და წერტილოვანი განათების გამოყენებით;
- მუზეუმის შენობა უნდა დაგეგმარდეს ისე რომ საგანგებო სიტუაციების (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისწვრა, შეიარაღებული კონფლიქტები) დროს დროულად მოხდეს დამთავლიერებლების და თანამშრომლების ევაკუაცია და კოლექციების ტრანსპორტირება. შესაბამისად პროექტში განსაზღვრული უნდა იქნას საევაკუაციო გზები.
- სარდაფში – ბუნკერი

ექსტერიერი: მუზეუმის ტერიტორიის შემოსაზღვრა; ეზოს მოწყობა – გამწვანება, ბალის სკამები, განათება.

„ახალი კავალერიის ფლიგელის“ რეაბილიტაციისა და სამუზეუმო სივრცედ ადაპტირების შემთხვევაში ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალა ამ შენობასა და ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (რომანოვების კანცელარია) შენობაში განაწილდება და შედეგად, ბორჯომი შეიძენს ორ სრულფასოვან, თემატურად განსხვავებულ, თანამედროვე სტანდარტების მქონე მუზეუმსა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს.

III. სასახლე-მუზეუმი და მრავალფუნქციური კომპლექსი

(ლიკანის სასახლე და ტყე-პარკი)

2015 წლის აპრილში ლიკანის სასახლე და ტყე-პარკის ნაწილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით, სასახლის სამუზეუმო სივრცედ ადაპტირების პირობით, მართვაში გადაეცა საპარტნიორო ფონდს. დღეისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს ლიკანის პარკის ნაწილსა და ამ ნაწილის ტერიტორიაზე განთავსებულ არქიტექტურულ ნაგებობებს (ლიკანის სასახლე, ორი შადრევანი, ვერტოფრომი); ფართობი 22 500 კვ.მ.

ერთიანობაში ლიკანის სამუზეუმო კომპლექსი უნდა მოიცავდეს: სასახლეს, საკონფერენციო და სასტუმრო ნაგებობას (ყოფილი სამზარეულო), ორანჟერეას, 3 კოტეჯს (XIX-XXსს.), ყოფილ რეზიდენციას, ბელვედერს, აუზს, 2 შადრევანს, მიწისქვეშა სამაცივრე ნაგებობას, გ. რადდეს მემორიალურ ძეგლს.

V. ბორჯომის მინერალური წყლის ისტორიის მუზეუმი;

(ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის შენობა)

საინტერესო, დათვალიერებად, თანამედროვე, მოთხოვნად ინდუსტრიულ მუზეუმს მივიღებთ ბორჯომის მინერალური წყლის პარკში განთავსებული მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის რეაბილიტაციისა და სამუზეუმო სივრცედ ადაპტაციის შემთხვევაში. დამთვალიერებლის სიჭარბეს ბუნებრივად განაპირობებს მისი ადგილ-მდებარეობა – მინწყლის პარკის შესასვლელი.

ეს იყო წარმოების სიმძლავრით ერთ-ერთი პირველი მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა რუსეთის იმპერიაში. ქარხნის შენობა მდებარეობს ბორჯომის მინერალური წყლის პარკის ტერიტორიაზე. აშენებულია 1895-1896 წლებში პარიზის აკადემიისა და ბორჯომის მინერალური წყლების დირექციის წევრის, მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის ქიმიური ლაბორატორიის გამგის, ფ. მოლდენჰაუერის პროექტის მიხედვით. შენობა წარმოების პროცესის სინესტის გათვალისწინებით, გათვლილი იყო მაქსიმალურ მდგრადობაზე, საწარმოო პროცესზე მორგებასა და მისი უწყვეტობის უზრუნველყოფაზე.

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ეროვნული არქივის, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატებისა და საარქივო მასალის, ასევე საქართველოს ეროვნულ და პეტერბურგის საისტორიო არქივებში დაცული მასალების, სამეცნიერო ლიტერატურის, პერიოდიკის გამოყენებით შესაძლებელია ბორჯომის მინერალური წყლის წარმოების ისტორიის ამსახველი ინდუსტრიული მუზეუმის სრულფასოვანი საექსპოზიციო სივრცის გამართვა. საამისოდ ამ შენობას უდიდესი რესურსი გააჩნია.

შენობის | სართულის ძირითად სივრცეში შესაძლებელია შენობის თანადროული, ბორჯომის მინერალური წყლის, თეთრი მარმარილოს ბიუვეტის განახლება-ამოქმედება, ასევე მინერალური წყლის წარმოების ატრაქციის მოწყობა, დამთვალიერებლის პროცესში ჩართვა. დანარჩენ სივრცეებში ბორჯომის მინერალური წყლის ისტორიის სრულად, ცოცხლად და საინტერესოდ გადმოცემა, უამრავი მარკეტინგული ხერხის გამოყენება, რაც თავის მხრივ სასიკეთოდ აისახება როგორც მინერალური წყლის რეალიზაციაზე, ისე ხეობის პოპულარიზაციაზე.

სამუშაოების თემატიკა:

- კურორტი ბორჯომი;
- ინდუსტრიული ბორჯომი;
- ქართული ბრენდი „ბორჯომი“;
- ბორჯომის მინერალური წყლის გამოყენება ანტიკურ ხანაში;
- ბორჯომის მინერალური წყაროების პირველი ექსპლოატაცია – თავადი ავალიშვილები;

- ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა;
- ბორჯომის მინის ქარხანა;
- წარმოების პროცესი: ჩამოსხმა, შეფუთვის ტექნოლოგია, რეკლამა, ექსპორტი;
- ბორჯომი საერთაშორისო ასპარეზზე – მონაწილეობა მსოფლიო და ადგილობრივ გამოფენებში;
- საბჭოთა პერიოდი და მინერალური წყალი „ბორჯომი“;
- მინერალური წყალი „ბორჯომი“ დღეს.

მიუხედავად სიმყარისა, შენობის შიდა სივრცე სრულიად გაპარტახებულია. დასაანანია ასეთი მნიშვნელობის, ისტორიული ღირებულების მქონე შენობის როგორც მდგომარეობა, ისე მისი უფუნქციობა, მაშინ როდესაც მას მნიშვნელოვანი მოგების მოტანა შეუძლია. შენობა დროულ მოვლასა და ჩარევას საჭიროებს.

V. ინდუსტრიული მემკვიდრეობის მუზეუმი

(მოლდენჰაუერის ჰიდროელექტროსადგურის შენობა)

XIX საუკუნის დამლევს, ბორჯომსა და ლიკანში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ბორჯომის სასახლეების, კერძო აგარაკების, ქარხნების პარკების, ქუჩების, ბუფეტისა და მაღაზიების ელექტრიფიცირებას. პროექტის განმახორციელებელია პარიზის აკადემიისა და ბორჯომის მინერალური წყლების დირექციის წევრი, მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის ქიმიური ლაბორატორიის გამგე, ფ.ფ. მოლდენჰაუერი. ბორჯომის ჰიდროელექტროსადგურის შენობის არქიტექტორია ვ.ს. შენგარდტი. პროექტის ღირებულებამ 164 ათასი რუბლი შეადგინა. განხორციელდა 10 თვეში.

1899 წ. 15 იანვარს ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური ამოქმედდა. ეს იყო სიმძლავრით რუსეთის იმპერიაში პირველი, ხოლო ამიერკავკასიაში პირველი ჰიდროელექტროსადგური. აქ რუსეთის იმპერიაში პირველად იქნა გამოყენებული ჰიდროელექტროსადგურების სამშობლოში – ამერიკაში შექმნილი ე. წ. პელტონის ძრავა. არსებობს შესანიშნავი რუსულენოვანი დოკუმენტური გამოცემა («Электричество в Боржоме» по проекту Ф. Ф. Мольднгауера), რომლის მიხედვითაც ზედმიწევნითი სიზუსტითაა შესაძლებელი ჰიდროელექტროსადგურის შენობის ინტერიერის რესტავრაცია და საექსპოზიციო სივრცის მოწყობა. მისი რეაბილიტაციისა და თანამედროვე ექსპოზიციის მოწყობის შემთხვევაში მივიღებთ მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმს.

სადღეისოდ ამ კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლის მეტი წილი განადგურებულია და საჭიროებს სასწრაფო ჩარევას.

ქ. ბორჯომის ცენტრში - რემერტის პარკში, ძველი რკინიგზის სადგურთან ან მინერალური წყლის პარკის სიღრმეში, ღია ცის ქვეშ, შესაძლებელია რკინიგზის თემაზე საინტერესო საიტი-ატრაქციის შექმნა.

მაღალმთიანი რეგიონისთვის გათვალისწინებული, საგანგებოდ ჩამოტანილი პირველი ორთქლმავალი, ცემი-ბაკურიანის ეიფელის სარკინიგზო ხილთან ერთად, რკინიგზის ისტორიის (ფოთი, თბილისი, ბაკურიანი სარკინიგზო ხაზი) მოკლე ტექსტური გადმოცემით და ვიზუალური ილუსტრაციით, ელექტრონული ეფექტით, საინტერესო ატრაქციად იქცევა ყველა ასაკისა და წარმომავლობის დამთვალიერებლისათვის.

მთავარი ექსპონატი – ორთქლმავალი ბავშვებისათვის მისაწვდომი და ხელშესახები უნდა იყოს. მოზარდთათვის საგანმანათლებლო მიზნით შესაძლოა სხვადასხვა სახის ატრაქციის იმპროვიზირება, რაც გაათკეცებს მათ ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს. რკინიგზის მინი-ექსპოზიციის ატრაქცია ორგანულად ჩაეწყობება ერთიან ტურისტულ მარშრუტში და მინერალური წყლის ქარხანასთან და ჰიდროელექტროსადგურთან ერთად შემატება ინდუსტრიული ბორჯომის რეკონსტრუირებულ ერთიან სურათს.

ასეთია ბორჯომის მომავალი კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ჩვენეული კონცეპტუალური ხედვა. ამ პროექტების განხორციელებისა და ტურისტულ მარშრუტში ინტეგრირების, სწორი რეკლამირების შემთხვევაში, ბორჯომის ხეობაში მივიღებთ ხუთ უმნიშვნელოვანეს, საინტერესო, მაღალ-შემოსავლიან მუზეუმსა და ერთ საიტს. სასურველია ასევე, განხორციელდეს ისტორიული პარკების – მინერალური წყლის პარკის და რემერტის პარკის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. რეაბილიტაციისა და ისტორიულად არგუმენტირებული რეკონსტრუქციის შემთხვევაში, თითოეული ეს პარკი მასში განთავსებული სამუზეუმო სივრცეებად ადაპტირებული ისტორიული შენობებით მიმზიდველ და რენტაბელურ ტურისტულ ცენტრებად იქცევა.



